საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აშუღი

აშუღი [

აშუღობა ჩაისახა XV–XVI სს. თურქეთსა და აზერბაიჯანში, გავრცელდა კავკასიაში (აზერბაიჯანი, დაღესტანი), ქრისტ. რეგიონშიც (საქართველო, სომხეთი). საქართველოში ძირითადად თბილისში გავრცელდა. XVIII ს. თბილისელ ა-თა შორის არ იყო შენარჩუნებული ტიპური კლასიკური სახის აშუღური მუსიკა და შესრულების ხელოვნება, რაც გამოიხატებოდა რეპერტუარში და სხვადასხვა მუს. საკრავების გამოყენებაშიც (აშუღის მუს. ინსტრუმენტი მხოლოდ საზი იყო). თბილისელი ა-ების ქიჩიქნოვას, სეირანის, ბუდაღოღლანის, შამჩი მელქოს თუ სხვათა რეპერტუარში აღარ ჩანს აშუღური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი აღმოსავლური დასთანის თხრობის და საერთოდ იმპროვიზაციის კულტურა. ფაქტობრივად იგი აღმ. ქვეყნების პოეტურ-მუს. ხელოვნებისა და ადგილ. კულტურის კონგლომერატს წარმოადგენდა.

აშუღობის ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი აჭარაში, აგრეთვე ახალქალაქის, მარნეულისა და ასპინძის რაიონებში. აჭარაში სახ. მთქმელებს ა-ებს ეძახდნენ. ზემო აჭარაში ცნობილი ა-ები იყვნენ ქიბირ კახიძე, რეჯებ მჟავანაძე და სხვ. ისინი ლექსებს თვითონ თხზავდნენ და ასრულებდნენ კიდეც. ზოგიერთი დღესაც პოპულარულია.

გ. შაყულაშვილი